ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 6. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთ ვაუწყებთ, რომ „ნიშადურის“ №-ებ 3 და №-ებ 5 №№ სულ ერთიანად გამოდენილია.



ილია ჭავჭავაძის ცხედარი სიონის სობოროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე
სტუდენტობის დროს 1859 წ.

ილია ჭავჭავაძის ნეშთს.

(სიტყვა *)

დიდებულო, უებრო მასწავლებელო და საქართველოს ჭირისუფალო, ილია!

ერთის მხრით, რუსეთის სხვა და სხვა მაღალსასწავლებელში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა და მეორეს მხრით,—ახალგაზრდა ქართველ მწერლების თვალ-საჩინო ჯგუფთა მონდობილობით საჯაროდ, საქვეყნოდ ვაღიარებ შენის წმინდა ცხედრის წინაშე ჩვენ გულის-თქმათა და მისწრაფებათა.

სამშობლოის მაღმერთებელო! უწმუნდურ ველურ კაცთა ხელით განგმირულს რომ გიყურებ, მაგონდება შენის დიადის წინა-გრძნობით გაცისკროვნებული შენივე სტუდენტობის დროის სიტყვები:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმეოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი სიუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბუნების ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა—ბედისაგან გაჯებული, მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჯკუა აკრჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს,—ეს ხა აკდგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჯაბუკის ტვინსა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი ჯიდეგ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალ-ყურძენიც.“

დიახ, უკვდავო მესაიდუმლე ადამიანის ბუნებისაო! საქართველოს უკულმართმა ბედის-წერამ, მისმა არამკითხე, ვითომდა ჭირისუფლებმა, შენის ქვეყნის ბევრ შვილს აურიეს გული და გრძნობა, საქართველოს ბევრი შვილი დააძაბუნეს და დააკნინეს, საქართველოს ბევრი შვილი დაათვრეს და გააბრუეს ძალლ-ყურძენასაგან გამონაწურ წვენით, და გააბრიყვეს იქამდე, რომ შენ, საქართველოს სიამაყე,—მოსაკლავადაც-კი არ დაგინდეს!.. მაგრამ მე და ჩემი რწმუნებულნი მოსწავლე ახალგაზრდობა, ვსდებთ ფიცს შენის მცხედრის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე არ ვუღალატებთ შენგან განმტკიცებულ მცნებათ: **ძმობას, ერთობას, თავისუფლებას!**

წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენში არ მოიპოვებოდა ისეთი კაცი, რომლისთვისაც „ფიქრი გენდო და გრძნობა გაგეზიარებინა“... ორმოცდა ათის წლის შენმა და სამშობლოსათვის შენსაებრ თავდადებულთა შრომა—სწავლა—მოძღვრებამ გამოაფხიზლა ქართველი ერი, ხოლო შენი წამებრივი სიკვდილი ხომ ქვა-კუთხედათ დაედო მთელის საქართველოს სავსებით გაღვიძებას.

ქედს ვიხრით დიდებულის მამულიშვილის ღვაწლისა და სიკვდილის წინაშე!

დაუშრესმცა წყალნი არაგვისანი, გაუქრესმცა ზვირთნი ალაზნისანი, მტკვარმა და რიონმა არ დაიტიროს და „დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია“ იმას, ვინც არ ეცადოს შენგან ღვთაებად მიჩნეულ, მაგრამ ბრიყვთაგან აბუჩად აგდებულ „მამულის აყვავებას“!!.

ქართველებო! კმარა ამდენი დაუდევრობა! დროა „ისე აღვზარდოთ ჩვენ ჩვენი შვილი“, რომ ტრფობათ ჰქონდეს სამშობლოის კეთილდღეობა, მხოლოდ ფარ-ხმალად სიმართლე და ადამიანობა! —იქნებ ამით საიქიოს მაინც დაუმშვიდოთ სული და გული იმ ჩვენგან დატანჯულ მგოსანს, რომლის ნეშთის წინაშე თქვენთან ერთად დღეს მეც კვალად მოწიწებით თავს ვიხრი...

ია ეკალაძე.

*) ეს სიტყვა უნდა წარმომეთქვა ილია ჭავჭავაძის ნეშთის დასაფლავების დღეს, მაგრამ სიტყვების გამწესრიგებელ კომისიაში ჩაწერვა ველარ მოვასწარი.

ია ეკალაძე.

ლოცვა.

(რუსულიდგან.)

ცხოვრებისაგან დაჩაგრული, გამწარებული
მე ვლოცულობდი: დამშვიდებას ეძებდა სული.

ძლივს გასაგონათ ვჩურჩულებდი: „ღმერთო მისმინე:
ძალდატანება, მაცდურება ამაშორე მე!“
— და შემომესმა ხმა ზეციდგან: „ჰოი სულელო!
რატომ ვერ მიხვდი, შენ თავს შენვე უნდა უშველო?!
და მე არ ძალმიძს თქვენი დახსნა ბოროტ ხელთაგან:
დიდი ხანია თქვენ კავშირი გასწყვიტეთ ჩემთან!
თვით თქვენ შეჰქენით კერპ-ქურუმნი, რომ თაყვანი
| სცეთ
მაშ მე რაღას მთხოვთ? წადით ეხლა იმას მოთხოვეთ.
ბატონ-პატრონად გაგიხდიათ ავაზაკები,
რომელთაც ხვედრი უნდა იყოს მხოლოდ თოკები.
აბა მითხარით, უგნურნო, რას შეჰყურებთ ცას,
როცა მიწაზე უნდა ძებნა ხსნასა და შველას.

ბ. —

ჟალბი და ნამდვილი კანონი.

შუამეე თვითეული დღე რაიმე კეთილი საქმითა,— სთქვა მსოფლიო ფილოსოფოსმა. ბევრს დავიწყებული აქვს ეს ჭეშმარიტება და არა თუ არ ფიქრობს თავისი ცხოვრების დღეთა შემკობას, არამედ სიცოცხლე, ეს დვთიური ნიჭი, იმისთვის საძესხრად მოცემული ჭკონია და ეოველ დღე ნაირ-ნაირი სისულელითა და უგუნურ ქცევით ამახინჯებს.

დღეს წავიკითხე ეოველად ჩამოქვეითებულ მწერლის მ. მენშიკოვის ისეთი აზრი, რომელიც ნათლად მოწმობს, რომ ამ მწერალსაც თავისი ჭკუის კოლოფი— ისეთი დარბაზი ჭკონია, საცა იგი მოგვლეა ეოველ დღე ახალ-ახალი მახინჯი და სასაცილო სურათები ჩამოჭკიდოს.

აი სხვათა შორის რასა სწერს იგი: ოჭ, როგორ მეგეთრად ვგრძნობთ, რომ ჩვენ გვაკლია დიდი სახელმწიფო ჭკუისა და დიდებული სულის ბატონი მოდგაწეები. ბატიენტემული, ზომიერი და ბეჯითი ჩვენი ბ-ურეოკრატები ბატარა და ბედნიერ ქვეყანას, როგორც მაგალითად ბოლგარია, საზიეეოდ გამოადგებოდენ. ჩვენ კი, დიდებულ ადელვებულ ხალხს, არა გვაკვს მძღავრი წინამძღოლი, ძალიერი მენაგე!

საბრალო მწერალს ჭკონია, რომ დიდ ქვეყანას მხოლოდ „დიდებული“ ჩინოვნიკი ესმის საეერთოსაკენ თავისი ბატარა მოხელეები კი მეუდრო ბოლგარიის შესაფერად მიაჩნია.

ეველა მთავრობის მომხრე მწერლებს საცოდავი ელბი აზრი უტრიალებს თავში, თითქო ბეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ესე იგი ცენტრიდან, მთელი ადფოთებული ქვეყნის გაჩუმება, დიდი აურ-ზაურის დაცგება შეიძლება. მათი ტვინი ისოლოდ გარედან უცქერის საქმეს, იმდენი ძალა არა აქვს, რომ დღევანდელი დღე განსჭვრიტოს და არეულობის ნამდვილი მიზეზი შეიგნოს. იმათ ჭკონათა ზევიდან, ბეტერბურგიდან მძღავრად რომ დაწვა აშეოთებულ ხალხს, დაჩუმებ და საუფლამოდ დაიმორჩილებ. მათი აზრით საჭირო დროის შესაფერი სასტიკი კანონი გამოიცეს, მოხელეებს ამ კანონის ასრულება დაეკვალოს და ქვეყანა მხოლოდ ამით ეშველებოდა.

საბრალო უვიცნი! იმათ არ იციან, რომ ადამიანის სიცოცხლე არა თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით დაწერილ კანონებით იმართვის, არამედ იმ ზნეობრივი კანონით, რომელიც ადამიანის სულში დვთიური ძალითა ადებეჭდილი. ქურდებს და ავაზაკებს კანონი არ აშინებს, არ დაგმავს და იმათ რიცხვს არ ამცირებს. კანონი იმ ძალასა ჭკონა, რომელსაც მხოლოდ გაძარცვის შემდეგ ანამს დაზარალებული კაცი თავის ეზოში. დაწერილ კანონით ვერაფერს ვერ გახდება ადამიანი, იმიტომ კი არ არის შედარებით მცირე რიცხვი ქურდებისა და ავაზაკებისა, რომ იმათ კანონი აშინებს, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ძვირად ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელსაც ქურდობა შეუძლია: ასეთი ადამიანი ცხოვრებისაგან დაჩაგრული კაცია, იმის ცხოვრებას რომ დაუკვირდეთ, უთუოდ ადმოაჩენთ, რომ იგი ცუდ პირობებში იყო ადზრდილი და მავნე კაცების გავლენას დაემორჩილა. დიდ უმრავლესობას კი, მუშა ხალხს რომელიც ეოველ-დღიურ შრომასაა შეჩვეული, ქურდობა და ავკაცობა სძაგს, გულით ეზიზღება, ბუნებით არ შეუძლია ქურდობა ჩადინოს და არა იმიტომ, რომ კანონის ეშინოდეს. ქურდობა რომ ადვილი საქმე იყოს ჩვენი ცხოვრება ქურდებით აივსებოდა. ჩვენ კი შეგვიძლია დამშვიდებით ვიყოთ, თუ კარგად შევიგნებთ, რომ ადამიანი ბუნებით არა ქურდი, არამედ კეთილი სულდგმული...

ი. ნაკაშიძე.

მიქელ ანჯელოს კილოზე.

(ველიჩკოსი)

შესწყდი სიმღერავ, დადუმდი ფიქრო!
შესდეგ, ნულარ ხარ, გულო, ფხიზელი!
მსურს ძილს მივეცე განთიადამდის,
ვიდრე მეუფობს უკუნი ბნელი...
ძილი მსურს, თავი დავივიწყო მსურს,
მსურს ვერ-რას ვგრძნობდე, ვერ-რას ვისმენდე,
არც ზიზღსა ვგრძნობდე, არცა სიძულვილს,
სამშობლოს გამო არ ვწითლდებოდე!
გავშორდე, ეგებ, ამა სირცხვილსა,
გავშორდე ეგებ ამ სულმდაბლობას!
მოფრინდი ჩემთან, ისწრაფე ძილო—
გონს ართმევ ფიქრს და—თვალს მხედველობას!
და თუ კვლავ განვლენ წელიწადები,
და კვლავ იმეფებ უკუნო ბნელო,
მაშინ... ოჰ, მაშინ სამარიდისოთ
დადუმდი ფიქრო, ნულარ ჰფეთქ გულო!!

ბ. ელანძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის მოქალაქენი „ლოტოს“ მოტრფიალენი.

—ბეშვან-ჯვან, ხომ გითხარ—წუხელ სიზმარში ოთარი ვნახე, „ერუტილ ლოტოში“ ნუ ითამაშებ, წაგებ მეთქი!

—ეხარ, მაქო'ლ-ჯვან, იმ დღეს სიზმარში კი ერა ცხადლივ ვნახეთ ოთარი, მაგრამ მაინც შოვიგე.

—ბეშვან-ჯვან მაშინ ხომ ჩვენ გვერდით დაშნაკანიც იყო, მოიგებდი მაშ თვალს ერ ამოთხრიდი!..

თეატრის ახალი გამგეობა.

ბევრის ძებნისა და თათბირის შემდეგ, როგორც იქმნა წარსულ კვირას, აირჩიეს ქართული დრამატიული საზოგადოების ახალი გამგეობა.

გამგეობის პორტფელები უკვე განაწილებულია: თავმჯდომარე—ალექს. ჯაბადარი, მისი ამხანაგი—პართ. გოთუა, მხატვრული მხარეს გამგე—ალექს. სარაჯიშვილი, ხაზინადარი—ალექს. ნანობაშვილი, მდივანი—დავით ნახუცრიშვილი. წევრნი—ნიკ. ერისთავი და კონსტ. მაყაშვილი.

გამგეობის წევრთა კანდიდატები, რომელნიც გამგეობასთან ერდად იმუშავებენ: ივანე გოძართელი, მიხ. კილასონიძე და გიორგი მაჩაბელი.

სარევიზიო კომისიის წევრნი: გრიგოლ გაბაშვილი, დიმიტრი ფავლენიშვილი და დიმ. ჯმუხაძე.

ჩამოთვლილი პირების წარსული და ვინაობა სრული თავდებია, რომ ქართული თეატრის საქმე საიმედო და გამრჯე ხელთ არის ჩაბარებული.

ქართული თეატრის ბედიღბლის ახალ გამგეთ ჩვენ ვუსურვებთ სრულს წარმატებას და გამარჯვებით მუშაობას ეროვნული ხელოვნების საკეთილდღეოდ.

ვინატრით რომ ახალს გამგეობას პირველსავე ნაბიჯიდან დაავიწყებინოს საზოგადოებისათვის წარსულ წლებში სენად ქცეული ჩვეულება—ულაბოლობა, მცონარეობა და უსაქმურობა.

ოლონდაც დიდი საქმეა და დიდათაც სასიქადულო აუარებელ ხალხის წინაშე ნაყოფიერი მოქმედება, ამ ხალხის გრძნობა-გონების განვითარება და მათი თვალთა ხედვის ისრის გალესვა და განახლება დროის შესაფერად.

დიახაც საპატიო და სასიამოვნო გრძნობაა ეროვნული ხელოვნების წინამძღოლობა, ხალხში ცხოველმყოფელ აზრებისა და იდეალების გავრცელება, ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების გაღვივება და გამკვიდრება.

ყოველივე ეგა ადვილად შეუძლიან ახლად არჩეულ გამგეობას, თუ კი, რა თქმა უნდა, საქმეს დააყენებს ფეხზე და არა თავზედ-ყირამალა.

თეატრის მოტრფიალე ჩვენში ამხანად ბევრია და მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება და მრავლდება.

ქართული სცენის მუშაკნი, ეჭვი არ არის. გაათკეცებულის სიმხნევით და კეთილ სინიდისიერის მუშაობით ხელს შეუწყობენ ახალს გამგეობას და შეერთებულის ძალ-ღონით და აზრიანის სოლიდარობით შეუდგებიან ძნელსა და მძიმე საქმეს—ხალხის სამსახურს.

და ხალხიც არ დაივიწყებს თავიანთ მოამაგეთ და საზოგადო მუშაკთ.

ზოგიერთს.

მავნე აზრით გამსჭვალული
უდარდელად დანავარდობს!
ყოფა-ქცევა მელური აქვს—
იმას ცდილობს—ვის რა ავნოს.

მასთან, კიდეც ქველმოქმედობს,
„მოწინავის“ როლსა ჩემობს,—
დიდის რიხით მობაასე,—
სადაც უჯობს, იქ მლიქვნელობს!..

თავის დროზე ჰარალალი!
თანაც ჭორი გუდით ზურგზე!—
სინიდისი თუმც არა აქვს,
ნაკლებია აბა ვისზე!?

მცინარა.

ვირის ბედი

(ფიქრის ნაწყვეტები.)

ძალიანაც რომ გვწყინდეს, მაინც ჩვენი ბედი უცნაურად ჰგავს ვირის ბედსა.

როგორც პირუტვთა შორის ვირია ყველაზედ დაბეჩავებული და აბუჩად აგდებული, ისე ერთა შორის ჩვენა ვართ დავარდნილნი და სახელ-გატეხილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწილში ყველა შვებაში და ლხინშია, ვირი კი წყალსა და შეშას ზიდავს. ჩვენც ქვეყნის ნადიმში, ერთა წარმატებასა და კეთილდღეობაში ჯაფისა და სიღარიბის მეტი არა გვერგო რა.

ყველა ვალი ზურგზე გვკიდია, სიმართლეს და უფლებას კი ერთსაც ვერ ვღირსებივართ. სასჯელათ და ჯილდოდაც სახრე გვეძლევა.

**

არა გვჯერა ვირის სახედარობა, თუმცა ვიცით რომ ოდეს იესო იერუსალიმს დიდებით ვიდოდა, ჭაკ-ვირზედ იჯდა და უკან ჩოჩორი კი მისდევდა.

არ ვიცით ჩვენი თავის ყადრი, არაფრის მაქნისი გვგონია, თუმცა ყველას, ვინც გვიმსახურა,—თათარს, რუსს, სომეხს,—დიდის სარფით გამოუყენებია ჩვენი ჭკუა, პატიოსნება, ერთგულობა, სიმტკიცე და გამძლეობა.

**

ზოგი მშრომელი მუშაობს ჩვენში ვირსავით მომთმენი და თავმდაბალი. სანამ ცოცხალია, ვინ გინდა ვინ ავყია დასცინის უნიჭობას და ვინ გინდა ვინ მუქთა ხორა წუნსა სდებს მის ნაამაგევს. მოკვდება და მის კუბოს გვირგვინებს ვაყრით. ვირის სამსახურიც სახლში არავის ახსოვს, სანამ არ მოკვდება.

**

რამოდენი ყოფილა ჩვენში ტუტუცად და უხეიროდ მიჩნეული, მაგრამ წასულა რუსეთს და იქ ჭკუაც გამოჩენია და სახელი და დოვლათიც მოუხვეჭია.

რეაქციის გრამოფონები.



უწმინდურთა სამება, ყველას რომ ეაება.

ერთხმაზე მდერიან, როცა შავრაზმელთა უჩინარი ხელი გულის სიმებზე მეკვრება.

სანამ ვირი სამშობლოშია, ნაკლის მეტს იმაში ვერას ვხედავთ. მაგრამ უვირო ქვეყანაში რომ გადაიხვეწება, რაც კაი ზნე და შნო სჭირს, მაშინ გამოჩნდება და დიდს პატივში ჩავარდება.

როგორც ქერით გამძღარი ვირი ვარსკვლავებს ეთამაშება, ისე ქართველი, თუ ერთი კუჭი გაიძღო, ფრთებს შეისხავს და კაცობრიობის სიკეთისათვის იღწვის.

**

არ შეშვენის ვირებს ბედაურების მოედანზე ხტომა. არც ჩვენი შესაფერი ყოფილა ძველს საქართველოს ასპარეზზედ გმირობა. სანამ ჯარი არ სჩანდა დემოკრატიულ რესპუბლიკას ვაარსებდით და როცა ერთი შემოგვიტია, ისე წავხთით, რომ დაჩოქილნი, ხატებით და პორტრეტებით, შენდობა ვთხოვეთ.

**

ვირმა თუ პალო ამოგლიჯა, ერთს პატრონსა ჰკრავს, ათს თავის თავსაო. ჩვენც ერთი გავიწიეთ და გვეგონა, თვით-მყრობელობა ძირიან-ფესვიანად ამოვარდაო. თვითმპყრობელობა დარჩა, ჩვენ კი ახლაც გვეწვის ფერდები მის მათრახებისაგან.

**

ასეთია ჩვენი ბედი. მაგრამ ვირის ბედსაც გაუძლებდა კაცი.... საწყენი ის არის რომ ვირის მუშად გავიხადეთ თავი. ნახევარი საქართველო ავაკლებინეთ, გურია გავასრესინეთ, რომ რუსეთს კონსტიტუციია ეშოვა, და ახლა ამ კონსტიტუციის ძალით ლამის ისეთივე დღე დაგვადგეს, რაც ირლანდიას.

რიშ ბაბა.

ყურმოკრული საუბრები.

* *
*

— გაიგე, „ჩვენი გზა“ უნდა აღკრძალონო!?

— მაშ რა გზით ვიაროთ?

* *
*

— რას ეძახიან დეპუტატის ხელუხლებობას?

—იმას, რომ დეპუტატს ნება არა აქვს რასმე ხელი ახლოს.

* *
*

— ადვილი სათქმელია „პროლეტარეებო შეერთდით“... ეს იმასა ჰგავს მკვდარი მკვდარს რომ აეკიდეს!... ჩვენ ნებაუნებლიეთ იმას უერთდებით ვისაც რამე გააჩნია და შრომის ფასს გამოველით.

— ალბად იმიტომ თუ ხართ „ბლოკში“ წვრილ ბურჟუაზიულ კლასებთან?!.

* *
*

— ჩვენმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა მესამე დუმის არჩევნებს!

— მეტი რა გზა ჰქონდათ, შვილოსა! ეგეც ერთი „ტაქტიკაა“. როცა თავის ძალ-ღონის იმედი არა გაქვს, მაშინ ბოიკოტიც საჭიროა და უბრალო კეტიც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანა.

არის ერთი ვინმე კაცი
ქუთაისში ინსპექტორათ,
ყვირილში და ტყვილის თქმაში
გამოდგება ორატორათ.
თუმცა ხალხსა კი ჰგონია
ვითომც არის ღვთის შვილია,
რადგან თილისმა ენითა
ქუთათურნი მოილია.
ცოცხლათ წყალზე გაგატარებს,
დიდი ფარისეველია,
დღეს შავებში გახვეულა...
გამოიცან რომელია?..

კვანწარახი.

უცხოეთის მწერლები და მოღვაწენი.



ტენნისონ (Alfred Lord Tennyson) დაიბადა 1809 წელს, გარდაიცვალა 1892 წ. ტენნისონი ერთი უდიდესი და სახელ-განთქმული პოეტია ინგლისში. დაიბადა ლინკოლნშირში; მამა მისი მღვდელი იყო. საგანგებო სწავლა-განათლება მიიღო თავის სამშობლოში და მერე ევროპაშიაც მოგზაურობდა. 1827 წელს, ჯერ ისევ ჭაბუკი იყო, გამოვიდა მისი პირველი კრებული პოემებისა. 1828 წელს შევიდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ოქროს მენდალი მიიღო თავის „ტიმბუქტუს“ დაწერილ ათვის.

ტენნისონის პოეზია დიდებულია, ლირიზმით, ფერადებით და პოეტურის ჰარმონიით აღსავსე. შესანიშნავია პოეტის მიერ დასურათებული ქალების ტიპები—მთელი გალერეია უკვდავ ხასიათებისა. 1850 წელს ცოლი შეირთო, რომელთანაც სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდა. 1850 წელს გამოვიდა მისი შესანიშნავი თხუზულება «inmemoriam» გამოწვეული ძველი მეგობრის და ამხანაგის არტურ გალლამის სიკვდილით. ამ პოემაში მგოსანი საოცარის პოეტურის ზეგარდმო ნიჭით აღწერს სიყვარულ'ა და სევდა-მწუხარეგის გრძნობას. საზოგადოებამ, მთავრობამ და თვით მხცოვან დედოფალმა ვიქტორიამ ჯერ ისევ სიცოცხლეშივე უხვად დააჯილდოვეს პოეტი: ებოძა ლორდის ხარისხი და სხვა მრავალი სიკეთე და პატივი. დაიმარხა დიდებულად ვესტმინსტერის ტაძარში. ტენნისონის სახელი და დიდება ჩანერგულია მთელს კაცობრიობის ხსოვნასა და გულში. პოეტური ნიჭის ნაწარმოები ტენნისონისა საფუძვლიანად აყენებენ ბას მთელი მსოფლიო მწერლობის სათავეში.

შესანიშნავი ქანდაკებანი.



გოდივა *)

ტენნისონისა.

მე მოველოდი მატარებელსა
კონვენტრიისა ხიდზედა მდგარი
და ჩემთან ერთად იქ მოეყარა
ურიცხვ ხალხის ბრბოს ვით ლაშქარს თავი;
მუნით შევსცქერდი აღმართულს სამს კოშკს
თვალ აუწვდენელს და უძველესსა
და ამ დროს უცებ მე გამახსენდა—
ის რაც ქალაქში ზეპირ მითხრესა;
განა ჩვენ მარტო ვართ ამა ქვეყნად
თესლი უდროოდ ველზედ თესილი
და ანუ ახალ ცხოვრების მიერ,
ან ახალ ხანის კაცათ შექმნილი?
რომ შორს მივფრინავთ, გზაკვალს არ
ვამჩნევთ,
წარსულს ვაძაგებთ, უშვერ სიტყვით ვგმობთ,
გავკივით სიცრუე-სიმართლეზედა
და ავს და კარგზე ვითომდა კი ვსჭობთ?

*) **„ლედი გოდივას“ ამბავი.** მრავალ საუკუნეთა წინეთ ინგლისში, ქალაქ კოვენტრიში სცხოვრობდა ერთი ფრიად გულქვა და სასტიკი ფეოდალი, და მფლობელი გრაფი გოდივა. მეტად ახირებული ხასიათის კაცი იყო გრაფი, თავის ნათქვამი, ჯიუტი და კერპი. ერთხელ გრაფი რაღაც მიზეზით შემოსწყრა კოვენტრის მცხოვრებლებს და ისეთი მძიმე ხარჯი დაადო, რომლის ბადახდა ხალხმა ვერ შესძლო და მათს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. გრაფს დეპუტაცია მიუგზავნეს და პატიება სთხოვეს, მაგრამ ამაოდ. ჯიუტი გრაფი უარზე იდგა. მისმა მეუღლემ, უმშვენიერესმა ქალმა. ლედი გოდივამაც შეუერთა თავის თხოვნა ხალხის ვედრებას; გრაფი მოლბა, მაგრამ ერთის უცნაურის და თან საშინელის პირობით: ლედი გოდივა, გრაფის მეუღლე, სრულებით ტიტველ-შიშველი ცხენზე უნდა შემჯდარ იყო და ასე მოევლო ქალაქი ერთის კუთხიდან მეორემდე. ლედი გოდივამ იკისრა ეს არა კაცური პირობა და მით გადაარჩინა მრავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ღა მარტო ჩვენ შეგვძლებია
ჩვენივე ერის ღრმა სიყვარული
და მის გოდებას, მის ჭირ-ვარამსა
უპყრია ჩვენი სული და გული?
არა და არა! ჩვენ ხალხსა ვშველით
საქმით კი არა--მარტოდენ სიტყვით;
(მას აქეთ განვლო თუმც ათას წელმა,)
მაგრამ ჩვენ მაინც სიმართლეს ვიტყვით,
რომ ჩვენებურად, ვით ჩვენ გვჩვევია,
ლითონ სიტყვებით ხალხისა შველა—
ამ გვარად არა! მხოლოდ გოდივამ
საქმით თავის ერს იმ დროს უშველა.
როს მისი ქმარი მრისხანე გრაფი
სრულად კონვენტრსა, ვით მეფე, ჰფლობდა
და ამ ქალაქის მცხოვრებლებისგან
ხარჯის გადახდას იგი ითხოვდა.
ამ გვარ ბრძანებით ზარ დაცემულნი
დედები მის სახლს გარსა ერტყმოდენ,—
ხელთ ეპყრათ ჩვილნი—ძუძუ მწოვარნი
და პატივებას გრაფს ცრემლით სთხოვდენ:
ნუ მოინებებს ერის დაღუპვას
და მათ ეს ხარკი თუ გადახდება—
სიმშილი ყველას გაავლებს მუსრსა,
ცოცხალი არვინ არ გადარჩება
ამ დროს გოდივას ტვინი უდუღდა
და თავის ქმრისკენ ის გაეშურა,
(თუმცა იცოდა, რომ თავის თხოვნით
შეეძლო გრაფი მთლად მოემდურა;)
მივიდა ქმართან, როს ის ზალაში
ნელის ნაბიჯით დასეირნობდა
და ძაღლებისა მთელი ნახირი
გრაფს შემორტყმოდა, ყეფით ართობდა.
ადლის სიგრძეზე დაეშო წვერი,
რომელიც გულზედ ეზლაზნებოდა
და თავზედ თმები მთლად აბურძგვნილი
იდაყვებამდის გადმოჰფენოდა.
მიუახლოვდა გოდივა თვის ქმარს
მოუთხრა ერის ტანჯვა, წუხილი
და მოახსენა: „თუ ხარჯს შეაწერთ
ხალხს არ ასცდება მწარე სიმშილი“!
გრაფმა თვალები დაუბრიალა
და მრისხანებით დაუწყო მზერა;
თან უპასუხა: „ქმარა, გოდივავ!
შენი სიტყვები მე არა მჯერა!..
მე კარგათ ვიცი: მაგ წუწკებისთვის
შენ ნეკსაც კი არ გაიმეტებდი!
რომ ოდნავ ვისმეს შენთვის ეჩხვლიტნა—
ერის წუხილსაც დაივიწყებდი.
—„მე მზათ გახლავარ საკვდილისათვის!—
მყისვე მიუგო გრაფს გოდივამ,
გრაფმა დაცინვით გადიხარხარა,—
თითქოს ეს სიტვვა მას არ ეამა,
პეტრე და პავლეს მადლსა ჰფიცავდა,
რომ მის სიტყვები მას სულ არ სჯერა.
გოდივას ძვირფას საყურეებზედ
თავისი რისხვა მან მოიჯერა:
წაავლო ხელი საყურეებსა,
ოდნავ ყურები ცოლს აუწია
და ირონიით იმეორებდა:
„ეგ სიტყვებია! ეგ სიტყვებია“!
— რაც გინდ მითხარი მე აღვასრულებ!
მხოლოდ მიბძანე რით დაგიმტკიცო?
და გაძლევ სიტყვას, რომ შეგისრულო,
ჩემი სიტყვები არ გადავფიცო!
მრისხანე გრაფმა, ვითა ესავმა
გოდივას მისცა მკაცრი სასჯელი:
„ტიტველმა ცხენით ქალაქს იარე
და ავაცდინო მეც ხალხს ხარჯები!
ეს სთქვა და მწარე დაცინვით თავი
გრაფმა გოდივას წინ მოიხარა,—
გავიდა გარეთ ნელის ნაბიჯით,
თან გაიყოლა ძაღლების ფარა...
როდესაც დარჩა გოდივა მარტო
გადუტრიალდა აზრები თავში,—
აზრი ფიქრს სძლევდა და მიმოჰქროდა,
ვითა ბუმბული, მძლავრ ქარიშხალში.
ვიდრე არ სძლია თავმოყვარებას
გრძნობამ წმიდამან სიბრალულისა;
მოიხმო მაშინ თვისი ვეზირი
და მას გადასცა აზრი გრაფისა.
თან დააბარა, რომ ხალხს გადასცეს
ის, რა პირობაც გრაფმა ინება—
საყვირის დაკვრით, ბუკის ღრიალით,
შეატყობინოს ხალხს გრაფის ნება
და თან მოუთხრას, რომ ის მზათ არის
თავმოყვარება შესწიროს ხალხსა,
რადგანაც მას უყვარს თავისი ერი,
ერიც უცხადებს მას სიყვარულსა.—
მხოლოდ არც ერთი მცხოვრებთაგანი
შუადღემდისინ გარეთ არ ვლიდეს
და მის სიტიტვლე არავინ ნახოს,
ვიდრე ქალაქსა ის მოივლიდეს;
ყველამ დახუროს კარი ფანჯარა,
არავინ იყოს სულდგმული კარში;

ათასი ქალი და კაცი მეტად მძიმე ხარკს. ხალხმა რომ გაიგო ლედი გოდივას ასეთი მსხვერპლი, მისი ქალური და დედა-კაცური მორცხობის პატივსაცემად ერთხმად დაადგინა: იმდროს როცა გოდივა ცხენით ჩამოივლის შიშველ-ტიტველი ყველგან კარები და ფანჯრები დაკეტილ დარაზმული იყოს, რათა არვინ გაბედოს და არ შელახოს ჩვენი მსხნელის მორცხობაო.. მართლაც ასე მოხდა; მთელი ქალაქი თითქოს ამოწყვეტილი იყო; ყველანი ჩაკეტილებში ისხდნენ, ხოლო ერთს სულსწრაფს დასძლია ცნობის მოყვარეობამ და ჭუჭრუტანაში გაიხედა, რომ დაენახა ტიტველა ქალის მშვენიერება და იმ წამსვე დაბრმავდა თურმე.

იმ დროიდან მოყოლებული ყოველ წლივ კოვენტრიში ,,ლედი გოდივას'' სახსოვრად იმართება საერო დღესასწაული, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ქალაქში ყველაზე უმშვენიერესი ქალი ტანთ გახდილი და ზედ კისეია (ლეჩაქი) ჩამობურული ცხენით ჩამოივლის ქალაქს და თან მისდევს მრავალი ათასი ქალი და კიცი. წელს ეს უპირატესობა რგებია დემილოს ქალს, რომლის ქანდაკებაც მოთავსებულია ჩვენს ჟურნალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი ქანდაკებანი.

„ბორკილთ მსხვრევა“
რ. ბახის ქანდაკება.

არტისტიული თეატრის ანტრეპრიზა.



არტისტი ქალი ლ. ბ. იავორსკაია.

თავ. ბარიატინსკი, იავორსკაიას მეულლე.

ვიდრე არ მისცენ გამოსვლის ნება
ყველა მოემწყვდეს თავთავის სახლში...
შემდეგ შევიდა თავის დარბაზში
და იქ მოიხსნა სარტყელი წელით,
რომელიც იყო გრაფის წყალობა
გამოჭედილი ზედ არწივებით.
აქ შეუხუთდა გოდივას სული
და, ვითა მთვარე თეთრ ღრუბლებ შორის,
ისე გოდივაც ზლაზნით იხდიდა
თავის ტანსაცმელს ოქროთ მოჭედილს,
როს გონს მოვიდა, ვით მშველის ნუკრმა.
ნაზათ კისერი მან მოიღერა
და გიშრის თმანი, ვითა ტალღები,
კოჭებამდისინ გადმოეფინა.
უკანასკნელი კაბაც გაიძრო,
დაეშო წყნარათ სახლის კიბეზე
და დილის სხივებრ მონარნარებდა
გრძელ კიბის სპეტაკ საფეხურებზე.
ამ გვარის ტანჯვით განვლო გოდივამ
სასახლის ეზო და დახვდა ბჭენი,
აქ ოქრომკედის უნაგრით მკული
იდგა და მხედარს ელოდა ცხენი.
ზურგზედ მოექცა გოდივა ცხენსა,
შიშველ-ტიტველი, დედილ-შობილა.
არსად ისმოდა ფოთლის შრიალი,
თითქოს ჰაერიც უძრავად ქმნილა.

თითქოს ნიავიც შიშით ძლივს ქშინავს,
მეფობს დუმილი, არის სიწყნარე!
და თვით ჯეჯილიც კი არ ინძრევა!..
მიყუჩებულა მთლად არე მარე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის ცხედრის მოსვენება სოფ. საგურამოდან ტფილისში (ვერაზე).

უცებ საიდლანც დაჰყეფა ძაღლმა,—
გოდივა შეკრთა, გადაჰკრა ფერმა
და მას ეგონა; რომ დაინახა
მისი სიტიტვლე უსირცხვო მტერმა...
ცხენის ნაბიჯი აფრთხობდა ქალსა,
აკანკალებდა, ამთრთოლვარებდა
და პაწაწკინა სადმე კუნჭული
ქვითკირის ზღუდეთ ეჩვენებოდა,
და მას ეგონა, რომ ეს კედლები,
და თვით სახლებიც თავზედ ენგრევა,
და მის შიშველი სხეულის ნახვა
ყველას—ქალს თუ კაცს მოენატრება.
ამ გვარის ყოფით განვლო გოდივამ
კარგა გზა, ვიდრე მის ფერხთა ქვეშე,
არ გადიშალა მწვანე მინდორი
ელვარე ვითა ზურმუხტი მზეზე.
და იმავე გზით დაბრუნდა უკან
იგივ უმანკო, კვალად შიშველი,
მაგრამ მის ბედზედ ერთ სახლის შიგან
ჩაკეტილიყო ვიღაც სულელი,
რომელსაც გულში არა ჰქონია—
მადლობის გრძნობა, აზრი კეთილი
და იყო მხოლოდ გათახსირებულ—
გარყვნილ ცხოვრების უზნეო შვილი;
და ამ უგვანოს ფანჯრის კარებში
გამოეფულრნა პატარა ხვრელი,
რომ დაენახნა ამ უმზგავს მძოვრსა
გოდივას ტანი სულ მთლად შიშველი.
უძაგძაგებდა მთელი სხეული,
მხეცური ჟინი გაჰმეფებოდა,
მაგრამ ვერ შესძლო და არც ელირსა
უსირცო ნდობა აღსრულებოდა!
უმალ წაერთო თვალთა სინათლე,
მის თვალებს ბინდი გადაეფარა,
შეიქნა ბრმათა და ორივ თვალთ,
ვით ფანჯრის ხვრელი ამოეთხარა.
ასეა, ოდეს ბოროტი გრძნობა
ადამიანს თუ დაებადება,
ამ გრძნობას დასძლევს ძალა კეთილი
და ნატვრა ველარ აუსრულდება;
სულ არ იცოდა გოდივამ ესა
და ვითა უწინ კვლავ განვლო გზანი,
მაგრამ აქ უცებ ყოველ კოშკიდან
გაიცმა ზართა რეკვისა ხმანი;
მთელი ქალაქი მოიცო ამ ხმამ
გოდივაც მყისვე თვის სახლს მიადგა,—
გადიცვა ტანზედ ოქროს მანტია
და გრაფის ჯილა თავზედ დაიდგა.
ამ სახით წარსდგა იგი თვის ქმრის წინ
მცხოვრებლებს ხარკი მან ააცდინა
და თვის უკვდავი, წმიდა სახელი
ხალხში სამუდმოდ მან დაარჩინა.

მიმინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ფილიპესადმი
დამშეულ გურულებისაგან.

ხარბინლებმა გვაუწყეს—
თქვენთვის შევკრიბეთ ფულიო,
ჯერხანად ბევრს ვერ გიგზავნით—
არ გაიტეხოთ გულიო...
ფულებს ვაგზანით ფოსტითა—
ფილიპეს მიაკითხეთო;
რაც შეიძლება სისწორით
თქვენ შორის დაირიგეთო...
ქვეყანამ უწყის, ფილიპემც,
რომ ის ფულები ჩვენია;
ჩვენ გაჭირვების მალამოდ
ხარბინით მონაძღვენია.
ჩვენც მეველოდით ნაძღვენსა,
დღითი დღე გამწარებულნი,
მაგრამ იმ ფულით, იმ წვლილით
სხვა იქმნენ გამოკვებულნი!..
რაც ისარგებლე, ძამია,
გეყოფა, ხელი არიდე,
დღეს ამას იქით სხვის ფულებს
ხელს აღარ დააფარვიდე
რომ გასაჭირი ყველას აქვს,
არ ახალია, ძველია.
არც ეკადრება ვაჟკაცსა
სხვაზე მოითბოს ხელია.
„ლიდერს“ არ უნდა ჰქონოდა
ისეთი დიდი ნაკლია:
სამარცხვინო ბოძზე აკვრენ
ვისაც ნამუსი აკლია!
ეხლა იკმარე, გვაკმარე,
მოგვეცი ჩვენი ფულია,
რასაც არ გასცემ შენია,
ჩვენთვის კი დაკარგულია!

თქვენი **კიკოლიკა.**

პასუხი ფილიპესი.

შენ, „ნიშადურო“, რას მერჩი,
პუბლიცისტი ვარ, იცოდე,
პასუხსაც ყველთვის მიიღებ,
რამდენსაც გამოისროდე!
მართალი არი, ფულები
ბლომათ მივიღე, ძამია,
მაგრამ ისიც კი სწორეა
სულ მე არ შემიჭამია!
ზოგი მე, ზოგი „ამხანაგს“,
ზოგიც გავეცით გარეთა,
მაგრამ, ვაჰ, ამ დღის მომსწრესა
რაც მე შემერგო მწარეთა!
რა არის ფული მითხარით,
ღბრალო რამე ლითონი,
შევჭამეთ გურულებისა,
რა დავაშავეთ იმდონი
მეც იქაური შვილი ვარ,
დედის მოხმარდა შვილსაო,
მით უმეტესი, რომ მეცა,
ობლათა მქონდა ქისაო!
მეორეც, „ვიმოგზაურე“,
ფული უნდოდა ხომ გზასა,
და სამზღვარ გარეთ რაც ვნახე,
ახლა მოგითხრობთ ამბავსა!
ეს ბარი-ბარში—გავცვალოთ,
არ არის დაკარგულია,
რაც გურულებმა დაკარგეს
ჩემს კუჭში შენახულია!

თქვენი **ფილიპე.**

???????

„და ვინც ამას გამოიცნობს—ერთი გუდა ხიზალალა!“

როდის აივსება ქალაქის დაცარიელებული კასსა ფულებით?
როდის დაითხოვენ სახელმწიფო მესამე „დუმას“?
როდის გაიყვანენ კონცესიონერები კახეთის რკინის გზას?
როდის შეიძენენ ჭკუას ჩვენი „ამხანაგები?“
როდის ისწავლიან ჩვენს საადგილმამულო ბანკში—კანცელარია—წერას, ბუღალტერია—ანგარიშს, დამფასებელი კომისია—დაფასებას, გამგეობა—საქმის გაგებას?
როდის დაიწყება სამრეწველო ამხანაგობის „კახეთიას“ ხელმეორე ბოიკოტი?
როდის ეღირსებათ ავტონომისტებს—ავტონომია. ესდეკებს—რესპუბლიკა, ანარქისტებს—ანარხია, შავრაზმელებს—მონარქია, ხოლო მკითხველებს—კონსტიტუცია?
როდის დასრულდება სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა?
როდის ეღირსება ქართული ეკლესია ავტოკეფალიას?
როდის მოესწრება ჩვენი თავადაზნაურობა, რომ ბაქოს მამულში ნავთის შადრევანები ხეთქდეს—ამოდიოდეს?
როდის დაუდგება ქართულ სცენის მუშაკთ ხანა ჭამა-სმისა და ჩაცმა-დახურვისა?
როდის მორჩება ქართული თეატრის რემონტი?
როდის დასრულდება და მორჩება ქვემო მაჩხანის სალიკველაციო კომისიის მუშაობა?
როდის იპოვნიან დამშეული გურულებისათვის ხარბინში შეგროვილ ფულებს?
როდის გაუსწორებენ ანგარიშს ფილიპე მახარაძე და მისთანანი დამშეულ გურულებს?
როდემდის იჯიუტებენ ჩვენებური სოციალდემოკრატები ეროვნულ კითხვაში?
როდის მოხსნიან ბოიკოტს ჩვენი ფედერალისტები მესამე „დუმას?“
როდის გაუქმდება საქართველოში შემოღებული სამხედრო წესები?
როდის დაიკეტება ჟურნალი „ნიშადური“ მთავრობის განკარგულებით? და თუ არ დაიკეტა—როდის ეყოლება ასი ათასი ხელის მომწერი?

ახალ-გორელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიების ნაძირალნი.



ქართველ ანარქისტ-კომუნისტი.

ფეხქვეშ გავთელე ევროპა,
გერმანია, საფრანგეთი,
ფულები რო შემომაკლდა
მაშინ კი ვსთქვი: „ოღლან გეთი“
ჩამოველი ქართველებთან,
მე ქართველი ანარხისტი,
სხვის ჯიბეში რომ ხელს ვურევ
მიტომა ვარ კომუნისტი.
გოლოვინის პროსპექტზედა
ყოველ დღეს მაქვს ძმების კრება,
სად ვიშოვოთ საქეიფო,
ყველაფერი იქა სწყდება.
გოშიებს რომ დავუგზავნი
მათ უჭირავთ ხელში „ლისტი“
ვინ გაბედავს შეურაცხყოფს
კომუნისტი—ანარქისტი!..
და როცა კი ხელს მოვიგდებთ,
სხვის ჯიბიდამ ერთს, ორს გროშსა
მკლავი მკლავს გადახვეულნი
მივაშურებთ „პალერმოსა“
„მუშებო და გლეხნო კაცნო,
„ამხანაგნო მონებისა“
და მასთანვე „ბეგობარნო“
ამ ბნელს წყვდიადში ბრძოლისა;
გაუმარჯოს კომუნისტებს,
ჩვენისთანა ანარხისტებს,
გაუმარჯოს ჩვენისთანა
მებრძოლებსა და ჯიბისტებს!
ყური გვიგდეთ: ამ დღეებში
გამოვეცით ერთი „ლისტი“
ქვეშ ვაწერავთ ჩვენ თამამათ:
„კომუნისტი-ანარქისტი“
ეს ჩვენა ვართ, ჩვენს გარეშე
ვინ იქნება კომუნისტი,
კომუნისტიც მასა ქვიან,
რომ ხელს იგდოს სხვისი ბისტი!
ჩვენც ვასრულებთ ამ მცნებასა,
გაიგევით ქართველებო,
პირისაგან ქვეყანისა
ერთ დღეს ამოსაგველებო!
თუ ჩვენ არა, სხვა არც ერთი
შენ „პარტია“ ვერ გაცხონებს,
მხოლოთ ჩვენი მძლავრი ხელი
გაგაკეთებს, გაგაცოცხლებს:
მაშ მოგვყევით „მონობისა
„ამხანაგნო“ გავძრათ მკლავი
ვინც ფულს მოგვცემს... ვინცარადა
იგი არი დასაკლავი!
ამას ქვიან ანარხისტი,
ასეთია მისი მცნება,
ასეთია მის კომუნა,
მას შევასხათ ქებათ-ქება,
და დავძახოთ: გაუმარჯოს
ქეიფს ლხენას „პალერმოში“
ვიქეიფოთ ვიდრე... ვიდრე...
ვიდრე შევძვრებით სოროში!

რიგოლეტო.

პატიოსანი ნატვრა.

(სასიმღერო „თინათინას“ ხმაზე).

ნეტავ ვიყო მე „პრისტავი“—
დავიჭირო ასის თავი;
მოქადაგე თუ ხელთ ვიგდე
ავაცალო ზურგზე ტყავი.
ნეტავ ვიყო მე „სტრაჟნიკი“—
გლეხებს ვეცე როგორც ბზიკი,
ჯერღა მათრახს მივაყოლებ
ფერდებში კი ჩავკრა ტლინკი.
ნეტავ ვიყო მე „ყაზახი“—
ხალხსა ვცემო მე მათრახი,
თუ ერთობას გაბედავენ
მეტიც არი მათზე ახი!
ნეტავ ვიყო „პროკურორი“—
ტუსალს ვეცე როგორც ქორი,
პოლიტიკურს სულ გავგზავნი,
აქ არ დარჩეს არცა ორი.
ნეტავ ვიყო მე „ვექილი“—
გლეხს შეუჩდე, როგორც მღილი,
ფულით მართალს გავამტყუნებ,
მტყუანს გაუთეთრო პირი.
ნეტავ ვიყო მე „სუდია“—
გვერდზე ვაქნიო კუდია,
ხან და ხან რომ ქრთამს ავიღებ,
მოდი, მითხარ რა ცუდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ ვიყო მე „ლესნიჩი“—
არ ვიცოდე თუნდა ინჩი,
კალმახი და ჯიხვის ხორცით
გავიჩინო დიდი ქინჩი.

ნეტა ვიყო „ტყისა მცველი“—
ჩუმათ ხე-ტყის გამყიდველი,
სწორე გითხრა, იმისთანა
არ ვინ არი სოფლის მთლელი.

ნეტავ ვიყო მე მოძღვარი“—
სიტყვით ხალხის მეგობარი
და საქმით კი საწყალ გლეხის
გამყვლეფ, ტყავის გამძრობარი.

ნეტავ ვიყო მე „ბურჟუა“—
რომ ვასწავლო მუშებს ჭკუა;
ვინ უყურებს ჩემ სიმართლეს,
თორემ მუდამ მუშა სტყუა.

ნეტავ ვიყო მე „თავადი“—
არა მქონდეს თუნდა მჭადი.
რა სჯობია ჩემ წოდებას?
ისე დავალ, როგორც ყადი.

ნეტავ ვიყო მე „ვაჭარი“—
გავადინო მუშტარს ძმარი,
ტკბილის ენით ტყავს გავაძრობ,
ვეგონები მეგობარი.

ნეტავ ვიყო „დემოკრატი“—
გლეხებს გავკრა მაგრა კვანტი.

. . . . . .

რაჭველი შურდული.

ამ დროინდელი არშიყობა.

— შეიძლება თქვენსა სადამო ჟამს ერთ სტაქან ჩაიზე გეახლოთ?

— რატომაც არა, მაგრამ ჩემსა ერთი სტაქანი ჩაი ედირება ათი თუმანი.

— მაშ თუ აგრეა, ჩაის შემდეგ შემოვალ!

მძლავრი სახელმწიფო მოღვაწენი.

ცნობილმა მწერალმა მენშიკოვმა აუწყა ქვეყანას, რუსეთში არ გვყავს ნიჭიერი და მძლავრი სახელმწიფო მოღვაწენი. და, ჩვენ ძველთა მზგავსად, საზღვარ გარეთიდან უნდა მოვიწვიოთო. მთავრობამ უსმინა თავის კეთილ-მოსურნე ადამიანს და ჯერ ჯერობით დაიბარა საზღვარ-გარეთიდან ეს სახელგანთქმული და ფრიად დაჯილდოებული ნიჭიერი და მძლავრი მოჭიდავე, რომელსაც პირდაპირ ღენერლის „ჩინს“ აძლევს და ყველა დამსჯელ რაზმების უფროსად ამტკიცებს.

დრამატიული სელოვნება.

ექიმთან *)

ოდევილი ერთ მოქმედებათ.

ივ. გომართელისა.

ქალი თქვენ აკი ბრძანდებოდით ჩვენსა ამ ერთი თვის წინეთ.

ექიმი. შესაძლებელია. ახლა რისთვის მობრძანდით?

ქალი. ჩემი თხოვნა წაიკითხეთ, ბატონო.

ექიმი. (თხოვნას კაშლის) აქ ნამეტანი ბევრი სწერია. თქვენ თვითონ მითხარით, რაც გინდათ.

ქალი. ის უბედური ჩემი ქმარი, თქვენ რომ მოგიყვანეთ, გადაიცვალა, თქვენი ჭირი წაიღო, კუბოს ფული დღესაც გადაუხდელი მაქვს და პატარა შემწეობასა გთხოვთ.

(ექიმი მხრებს აიწევს, ორ მანათს იღებს ჯიბიდან და აძლევს ქალს; ქალი აჭთმევს, თავს უკრავს და გა-

*) იხილე „ნიშადური“ № 5.

ჭკუა მოკლე გრძელ-თმიანი.



— კიდევ მოუჭირეთ, რომ დავწვრილდე!

— მეტი ადარ შემიძლიან! თუ გნებავთ მუშებს დავუძახებთ, თორემ თქვენ ცხრა უდელი ხარიც ვერ დაგაწვრილებთ.

დის. შემოდის ქუდიანი ქალი თამამათ, დიმილით, ხელს ართმევს ექიმს, მანათიანს ცოტა მაგრათ დაჭერავს მაგიდაზე და დაჯდება).

ქუდიანი ქალი. მე თქვენთან ექიმო, ცოტა საქმე მაქვს, ჩემი ქალი ქორწილში იყო, დღე გამოტოვა და ახლა გიმნაზიაში ავათმყოფობის მოწმობასა თხოვენ.

ექიმი. როგორ? ქორწილში ქალი იყო და ავათმყოფობის მოწმობას განა რისთვის თხოვენ?

ქუდიანი ქალი. (სიცილით) იმას ხომ ვერ ეტყოდა: ქორწილში ვიყავი და იმიტომ ვერ მოვედიო! ავათ ვიყავიო, უთხრა და მოწმობასაც ამიტომა თხოვენ და დამიწერეთ, რომ ავათ იყო და თქვენა სწამლობდით.

ექიმი. როგორ უნდა დაგიწეროთ, როდესაც თქვენი ქალი არც ავათმყოფი მინახავს და არც კარგათმყოფი?

ქუდიანი ქალი. (იცინის) ერთი თქვენც! რა ნახვა უნდა? დაწერეთ, რომ ავათ იყო და თქვენა სწამლობდით. მაგის გამოძიებას ხომ არ შეუდგებიან ახლა?

ექიმი. ტყუილ მოწმობას მე ვერ დაგიწერთ, რადგანაც ეს უსინდისო საქციელია.

ქუდიანი ქალი. (გაოცებული) აქ რა უსინდოსობაა, მე არ მესმის! ორი კალამი უნდა მოუსვათ მარტო.

ექიმი. მე არ შემიძლია.

ქუდიანი ქალი. (გულ მოსული ფულს აიღებს და გაბრუნდება) ამისთანა უზრდელი ექიმი მოდრეულ მინახავს, მართლა რალაცა ჰგონია ... (გადის. შემოდგა შუახნის გლეხი და თავს უკრავს).

ექიმი. თქვენ რა გინდათ?

გლეხი. შენი შვიდობა, შენი ჭირიმე. (თავს აქნევს) რა ახალგაზრდა ყოფილა!

ექიმი. მომიყევით, რა გაწუხებთ.

გლეხი. რა არ მაწუხებს შენი ჭირიმე! ყველაფერი მაწუხებს. (შეჩერებია) დოხტური ხო შენ ბრძანდები?

ექიმი. ამ ოთახში ჩვენ ორის მეტი არავინ არის და ან თქვენ უნდა იყოთ დოხტური და ან მე.

გლეხი. (იცინის) აქედან დამიწყებს ხოლმე შენი ჭირიმე ა კოჭებიდან; (კოჭებზე ხელს იკიდებს), რო შამამაფრინდება კოჭებში, საძრაობას აღარ მაძლევს. საცა მამასწრებს, იქ უნდა წამაქციოს. რო მაკივლებს და მაკივლებს შობიარე ქალივით და ამივარდება მერე თავში, მარა ცხლათ კი არა შენი ჭირიმე,—ცივათ. მაა! რაც რამე მამეძევება, სულ თავზე უნდა მოვიხვიო. ამივარდება ცხინკვება და ხველება; მაცხინკვებს და მახველებს, მაცხინკვებს და მახველებს, მაცხინკვებს და მახველებს. ხველა ბატონები თუ გაგიგონია, ბატონო, ხველა ბატონები—გაგეგონება კი არა, ალბათ ნახვითაც

ბატონთა და მსახურთ შორის.

— შენ ქალბატონს ხომ ეკვს თავისი „კანდიდატი“. მოდი, მე კიდენ შენი „კანდიდატი“ გავხდები.

— რათა სწუხდებით, ჩემი „კანდიდატი“ უკვე ჩემი ბატონი გახლავთ!

ბეირი გენახვება, დეილოცა იმათი მადლი, სწორეთ ისე. მერე შამამეტაკება წელში, მაწკავლებს და მაწკავლებს, მაწკავლებს და მაწკავლებს, მაწკავლებს და მაწკავლებს ძალლივით, როო ჩემს უცოდვესი ქვა არ არი. იქ რო მიტევს და მთელ ტანში დამიწყებს ბეუალს. მერე დამანებებს თავს. ახლა მეშინია, შენი ჭირიმე, ი ხველებას რო ამიტეხს ხოლმე; ვაი თუ ნაშენობა მქონდეს წამხდარი.

ექიმი. გაიხადეთ და გავსინჯოთ.

გლეხი. გახთა რათ უნდა შენი ჭირიმე? ჩემი ავათმყოფობაი, რაც მოგახსენე, ამაზე მეტი არ არი.

ექიმი. მარტო თქმა არა კმარა, გასინჯვაც საჭიროა. ჩოხა და ახალუხი გაიხადეთ, გავსინჯავთ და მაშინ ყველაფერს გავიგებთ.

გლეხი. თქვენი ნებაა. (იხდის ჩოხა-ახალუხს და ბერანგის ამარა დგას). აპელაცია კი არ გამიკეთო, შენი ჭირიმე, აპელაციის გადატანა მე ახლა აღარ შემიძლია. (ექიმი ჩაქუჩს იღებს ისევ, რომ წკანის ტარი გაშვერილი აქვს გლეხისაკენ. იმის დანახვაზე გლეხი განზე გახტება.)

გლეხი. (ეხვეწება) არ შემიძლია, შენი ჭირიმე, არ შემიძლია; აპელაცია არ შემიძლია. (ექიმი მიუახლოვდება, გლეხი თანდათან იქით იწევს).

ექიმი. აპერაციას კი არ გიკეთებ, ეს მხოლოთ დასაკაკუნებელია. (მიდის გლეხისაკენ).

გლეხი. (უკან იწევს და ხმას უმატებს) არ მინდა, ბატონო, სულ არ მინდა, შენი არაფერი, თავს ვერ გევიჭრი, არ მინდა, შენი ჭირიმე (გაიდებს კარებს და გაიგრდება).

ექიმი. (გაოცებული) გადარეულია, თუ რა ღმერთი გაუწყრა? (რამდენიმე ხანი გაიყლის, გლეხი კარებს შემოაღებს და თავს შემოაყოფს).

გლეხი. (ხვეწნით) შენი ჭირიმე, ჩემი ჩოხა-ახალუხი დამანებე! არ მინდა არაფერი.

ექიმი. (ჩაქუჩს გაუშვერს) დანა არ არის, ტისი გეშინია? ეს მხოლოთ გასასინჯია.

გლეხი. არ მინდა, შენი ჭირიმე, არ მინდა, ღმერთმა შენ მოგახმაროს, რაც არი. ხანჯალივით წოუშვერია წვერი და ბრმა კი არა ვარ.

ექიმი. შენი ნებაა. იასონ! მიეცი ტანისამოსი. (შემოდის იასონი და გლეხის ტანისამოსი გაიქვს. შემოდის ახალგაზრდა ქუდიანი ქალი).

ქალი. (გახარებული) მე სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ახალგაზრდა ექიმი ავათმყოფებს ასე უზრდელათ მოეკიდებოდით. მოხუცებული გლეხი თქვენთან რჩევისათვის მოვიდა და თქვენ კი გარეთ გამოაგდეთ და ისიც ბერანგის ამარა. თქვენ ძველი ფეოდალი ჰყოფილხართ, ბატონყმობის მოტრფიალე. მე თქვენი ავათმყოფების სიაში ვიყავი, მაგრამ გთხოვთ, ამომშალოთ. დღეის იქით მე აქ ფეხს აღარ შემოვდგამ და არც არავის ვურჩევ. თქვენ ექიმათ კი არა პრისთავათ უნდა იყოთ, ჟანდარმათ! (გაიდის).

ექიმი. ღმეთო ჩემო, ნეტავი მე აქ რა შუაში ვარ? არა, აქ სწორეთ ყველა გადარეული ყოფილა. (შემოდის მოხუცებული სამსახურის გარეშე მოხუცი ბოლკოვნიკი და ხშირათ ახველებს)

ბოლკოვნიკი. ხელს ართმევს და დაჯდება) ბატონო ექიმო! მე ერთი ავათმყოფობა მჭირს—ბუასილი. ოცდა ათი წელიწადია, ის მაწუხებს. ხანდახან ნამეტანი ამომაწვება, სულის მოთქმას მიკავებს, მახველებს. (ახველებს)

ექიმი. ტანისამოსი გაიხადეთ და გავსინჯავთ.

ბოლკოვნიკი. გასინჯვა რადა საჭიროა. ოცდა ათი წელიწადაია, ფრჩხილი არ წამომტკენია, რაც რომ ბუასილი არ მაწუხებს. თუ იცით ბუასილის კაი წამალი, გამომიწერეთ. თქვენს ფულს ისეც დაგიტოვებთ გაუსინჯავათ.

ექიმი. მე ფულის გულისათვის კიარ მოგახსენებთ, გაუსინჯავათ შინაგანი ავათმყოფობის გამოცნობა შეუძლებელია. (ბოლკოვნიკი ადგება ზედ ტანისამოსს იხურავს და ექიმი სინჯავს წინიდან, უკან და გვერდებზე).

ექიმი. (მაგიდასაკენ მიდის) შეგიძლიათ ჩაიცვათ. (სტენისკენ) ცალი ფილტვი, ჭლექისაგან გამხმარი აქვს და ბუასილის წამალს კი თხოულობს. (დაჯდება მაგიდასთან. ბოლკოვნიკი ჩაიცვამს და დაჯდება) დიდი ხანია, რომ გახველებს?

ბოლკოვნიკი. ოცდა ათი წელიწადია. მაგრამ ცოტას მახველებს. როცა ბუასილი მომერევა, მაშინ კი აღარ მასვენებს არც დღე, არც ღამე და ნახველი მაქვს საშინელი ბევრი. ფილტვებში კი არასფერი არა მაქვს; ჩემი ავათმყობობა მე თვითონ ვიცი. ამ ოცი წლის წინეთ ერთ დოხტურთან მივედი. მაშინ პეტერბურგში ვიყავი. მიქეს, კარგი დოხტურიაო, და მეც გავბრიყვდი. გამსინჯა და, ჭლექი გაქვსო! (ხმას უმატებს) გესმით? ჭლექი გაქვსო! მისი რეცეპტი თავში ვახალე. დოხტურათ კი არა მელორეთ უნდა იყო-მეთქი და წამოვედი. არა, ერთი თქვენ თვითონ თქვით: მე ვიცი, რომ ბუასილი მჭირს, ის კი მიმტკიცებ,—ჭლექი გჭირსო. მას აქეთ ოცმა წელიწადმა გაიარა და ბუასილი რომ არ მაწუხებდეს, ჯერ თავს სრულებით კარგათა ვგრძობ.

ექიმი. (რეცეპტს დაწერს, ადგება და მიცემს) აი ეს წამლები იხმარეთ, როგორც აქა სწერია. ბაპიროზს ნუ იხმართ, მეავეს და მლაშეს ერიდეთ; რძეს, კვერცხს სისხლიან ბიფშტეკს დაეძალეთ და არაფერი არ გიშავთ.

ბოლკოვნიკი. (ფულს ტოვებს) ხომ ბუასილის წამალია? (რეცეპტი მიაქვს)

ექიმი. თქვენს ავათმყოფობას რაც შეეფერება, მად ყველაფერია (ბოლკოვნიკი ხელს ართმევს და გადის). მოდით და დააჯერეთ ამისთანა ავათმყოფი, რომ მას ჭლექი სჭირს და არა ბუასილი.

(შემდეგი იქნება).

პროვინცია.

თელავის გამოჩენილი მაძიებელი (თუ მეძებარი). მართალია საფრანგეთსა ჰყავდა გამოჩენილი ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენელი — მაძიებელი ლეკოკი, მაგრამ ამ შემთხვევაში არც თელავი ჩამორჩა საფრანგეთს, რადგანაც მას არა ნაკლები მეძებარი მოევლინა. ლე კოკი ბევრნაირ ხერხს ხმარობდა, თუმცა იმნაირი ვერა მოიფიქრა-რა ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად, რაც ჩვენმა ჭკუა-მახვილმა ადმინისტრატორმა. როდესაც მკვდრის პატივსაცემლად მოსული საზოგადოება მოიმწყვდია ეკლესიის გალავანში და შემდეგ პოლიციაში წინ გაიმძღვარა. მან დაცარიელებულ ეზოში შეამჩნია ვილაცის ქუდი. დაინახა რა რომ ყველა იქ მყოფნი ქუდიანები (და არა კუდიანები) იყვნენ — მახვილ-გონებიანი მეძებარი მიხვდა, რომ ეს უპატრონო ქუდი იმ პირის იქნება, ვინც ამ ჟამად აქ არ იმყოფებაო; შეუდგა ქუდის პატრონის ძებნას. მოარეკინა პოლიციაში დიდძალი ხალხი, ყველას სათითაოდ თავებზედ ქუდი წამოახურა და, რასაკვირველია, ვისაც თავზედ კარგად მოადგებოდა — ქუდის პატრონიც ის იყო. აკი ღმერთმა გვიბრალა და თელაველი ლეკოკი დუშეთში გადაიყვანეს და მგონი არც დუშეთში ამყოფებენ. თქვენი მტერია — ერთიც არ გადარჩებოდა, რომ უპატრონო ქუდი თავზედ არ ჩამოეჩაჩა დუშელებზე. ამისთანა მეძებრებზეა ნათქვამი. „ხერხი სჯობია ლონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“.

დ — ო.

ბათუმის ავ-კარგი. ამას წინეთ აქ საღამო ჟამს „იმპერიალის“ კარებთან წუთი-სოფელს გამოასალმეს ვანის გუბერნატორი ოსმალოს ღენერალი, სტუმრად ჩამოსული ჩვენს მიწა-წყალზე. მკვლელები მიიმალნენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მთავრობას უკვე მიუგნია კვალისათვისო. ღენერლის მკვლელობას აბრალებენ სომხურ პარტიას, რომელმაც, თურმე, ძველი შური იძია და დიდი ხანია თვალ-ყურს ადევნებდა თავის მსხვერპლს. ამ გარემოებას არც სომხები მალავენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ მკვლელობას შესაძლოა ოსმალეთში დიდი რეპრესიები მოყვეს სომხების წინააღმდეგო. უკვე დიპლომატიური მიწერ-მოწერა გამართულია ოსმალოსა და რუსეთის შორის. აქაური მამადიანები შეურაცყოფილად გრძნობენ თავიანთ თავს და აქა იქ ჩუმი დრტვინვა ისმის...

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს და სისხლს სისხლი არ მოყვება, თორემ თქვენი მტერი, თუ ერთი ალიაქოთი ატყდა, ისედაც შურით და მტრობით გალვენთილ ურთი ერთობა — გამწვავდეს და სახიფათოდ გაჩაღდეს. ღმერთო შენ მოგვხედე და უარეს გადაგვარჩინე!

— ბევრს ლაპარაკობდნენ და ეხლაც ლიხი მითქმა-მოთქმა ისმის აქაურს საურთიერთო ბანკზე. Нерасцвѣлъ ужъ отцвѣлъ — რომ იტყვიან რუსები, სწორედ ჩვენს ბანკზეა ნათქვამი. რასაც ეხლა ბანკი განიცდის — უკიდურესს კრიზის — საეჭვოა რამე ეშველოს მას. ყოველ შემთხვევაში აწინდელი გამგეობა რომ გადადგებოდეს და სხვები იდგებდნ თავს ბანკის საქმეთა წარმოებას ბევრად უკეთესი და დროზედ მოსწრებულიც იქნებოდა. უნდო ფინანსიურ დაწესებულებას, როგორც სახელ გატეხილ ქალს, ყველა გაურბის და არვინ ეკარება.

— ბათუმის გასართობი ბულვარი მის ბოლოში მოთავსებული კლუბია, რომელიც ჩინებულად ვაჭრობს, მაგრამ როგორც გავიგეთ, ზოგიერთი ამ დროინდელი სოციალისტები ძრიელ ეტრფიან „ჩანისიავებას“ და ასე წარმოიდგინეთ, თვით „სტარშინებიც“ არ თაკილობენ ნისიას. თუ ბუფეტის მოიჯარადრემ ხმა ამოიღო „водвореніе“-ს ემუქრებიან, ისიც, თურმე, ჩუმად არის, მაგრამ როდემდის? მახათი ტომარაში არ დაიმალება!

ბაალი.

დეპეშები

სოხუმი. ეს არის ეხლა ზღვის ნაპირების დარაჯებმა დახოცეს და დასჭრეს „ცოცხალი კონდრაბანდა,“ რომელიც თურმე, ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები ყოფილან ტომრებსა და პარკებში გახვეულები, სულ რიცხვით 17 კაცი და ქალი, მათ შორის 3 მოკლული აღმოჩნდა, 5 დაჭრილი და 12 ტყვედ და ნადავლად ჩაუსხავთ მხნე და მამაც დარაჯებს. გამოძიება სწარმოებს. ამიერიდგან დაჭერილ კონტრაბანდის მყიდველთ სიფრთხილე მოელით, რადგან შესაძლოა ჩაისა, თამბაქოსა და სხვა საქონელთა მაგიერ ტომრებში სომხები აღმოჩნდნენ...

ქუთაისი. „ქალაქის უპრავა“ და მ. ლაღიძე ამ დღეებში ადგილობრივ თეატრში გამართავენ „ქუთათურს ტრაღედიას“; მომქმედნი პირნი ბნელაში მიმტვრეული ცხვირი ‍ᲓᲐ მოტეხილი ფეხი,

ს. ხაშმი. (გარეთ კახეთი) ბატონო ვალერიან! ამ ტელეგრამის მიღებისათანავე მოგვაშველე ორი კოვზის პირი ნიშადური. ეს იქნება უკანასკნელი საშუალება მამასახლისი. იმედაშვილის მოსაშორებლად, თორემ სხვა ხრიკებით ვერას გავხდით.

ერთი გალკოზინდამ. საღილის შემდეგ გიტარაზე დამღეროდა ვინმე ჭაბუკი „მარსელიოზას“. გულის ფანცქალით ყურს უგდებდა ვინმე „დიდი რევოლიუციონერკა“. ამ დროს „გოროდოვოიმ“ ქუჩაში გაიარა. გულ შეღონებული მებრძოლნი წყლით მოაბრუნეს. ბიულეტენები ყოველ დღე დაიბეჭდება ერთად ერთ პარტიულ გაზეთში. ყოველ შემთხვევისათვის „ნაბძანებია“ ნეკროლოგების დამზადებაც.

„შურდულის„ რედაქციიდამ. ამით ვაუწყებთ ჩვენს თანამშრომლებს, რომ რედაქციაში ყოველ მათგანთათვის დამზადებულია შუბლისთვის სველი ტილო, გძელ სახელოებიანი პერანგი და ცოფის წამალი. უამათოთ „შურდულის“ რედაქცია ვერ გაუწევდა კონკურენციას „მიხაილის სამკურნალოს ბიჟების ბანყოფილებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურ პარტიებთა შორის.



გაზაფხულია, მოჩუხჩუხების წყარო ანკარა
მაგრამ ძალისთვის მხოლოდ მის ხმა ვიცით არ კმარა,
და აი აგვ, მათ მოძებნეს ჩრდილი კაკლისა,
ის მოუსვენებს, ის დაატკბობს მუშაკს დადღილსა!
ერთია მათში დემოკრატი—ჩასძინებია
ავტონომისტიც გვერდს უმშვენებს... შესცილებია.
მხოლოთ იმათგან შორი-ახლო სიტყვით მქუხარე
ფედერალისტი სდგას მარტოკა სახე მწუხარე,
სდგას და შეჰყვიის: „ნუ, თუ გძინავთ, გამოიდვიძეთ,
ხალხისა მტერი შემუსრეთ და დაამწეთ“!
მაგრამ დრმა ძილში ორმა გმირმა ამოიკვნესა,
შენ თვით რას შერები, რომ ასე შლი მადლა ხელებსა?
მე, მე... არ ვიბრძვი, მე ვარ, ძმაო, ფედერალისტი.
„დუმს“ გაუწყერ მიტომ რო ვარ ბოიკოტისტი!
გაზაფხულია მოჩუხჩუხების წყარო ანკარა,
კვლავ ძილი, ძილი... დმერთო ჩემო ნუ თუ არ კმარა?!

რიგოლეტო.

ჭკუას ასწავლის.

— ფირუზ-ჯან, რატო აგრე დაღონებულხარ?

— „შტაბისგან“ წიგნი მომივიდა, ოცდათ თუმანსა მთხოვენ... თუ სამ დღეში არ მოგიცია, მოგკლავთო, მემუქრებიან.

— ჰო და მიე რაღა.

— რა მივცე, თუ კი ჯიბეში კაპიკი არა მაქვს?

— მაშ ვექსილი მიეცი.

— არა ყაბულობენ, მეუბნებიან თუ: ვზაიმნაში კრედიტი გაქვს, იქიდან გამოიტანეო.

— ჰო და გამოიტანე, რაღა, თავს რაზე იკლავ?

— კრედიტი დაბანდებული მაქვს, ათი თუმნისა ღა დამრჩენია. ისინი კი ოც ბ ათსა მთხოვენ.

— მაშ მოდი, ფირუზ, ერთი ჭკუა გასწავლო. მოიტა მე ათი თუმნის ვექსილზე ხელს მოვაწერ, შენ ფული გამოიტანე, „შტაბი“ დაპატიჟე და ერთი კაი ქეიფი გავწიოთ... ჰამ ლხინსა ნახამ, ჰამ იმათ გულს მოიგებ და გაპატიებენ.

— ჩემმა პურ-მარილმა რომ ვერ გასჭრას, მაშინ ხომ მომკლეს!

— ვა, ტუტუც, თუ კი ნახამენ, რომ აღარც ფული გაქვს, აღარც კრედიტი, მაშინ, რაღათ მოგკლამენ?.. მოგკლამენ კი არა, ვინ იცის, იქნება ამხანაგად გაგხადონ კიდეცა!

გინდ ზილინ-პიკო, გინდ ზილინ-კიკო.

ივანიკა. როგორი იქნება მესამე დუმა: მემარჯვენე თუ მემარცხენე?

ნინიკა. ჩვენთვის სულ ერთია. მემარჯვენე არას მოგვცემს, მემარცხენე ვერას მოგვცემს.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნეული სახლი მუხრანსკისა, № 1.